მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, პრობლემები და შემაფერხებელი გარემოებები

ვალერი კატუკია
სტუ-ს დოქტორანტი

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებზე მუშაობა ბევრი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს, რადგან მისთვის დამახასიათებელია წარმოების მოქნილობა, დინამიკურობა, ენერგიული, ინიციატივიანი მოქმედება, ოპერატიულობა, სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურულ ცვლილებებზე და სიახლეებზე სწრაფი რეაგირება, ძირითადი კაპიტალის, ახალი ტექნოლოგიების თანამესაკუთრეობით განპირობებული შედარებით მცირერიცხოვანი კოლექტივის მაღალი წარმატების მიღწევის უნარი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე უამრავი ნაშრომია გამოქვეყნებული, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მისი განვითარების ორი ათეული წლის ისტორია, როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

ცნობილი ფაქტია, რომ ბიზნესის მიმართულებები იცვლება დროისა და დასახული მიზნის მიხედვით. მას შეიძლება ჰქონდეს, როგორც გლობალური, ისე ლოკალური მასშტაბი. მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის პირობებში, როდესაც საქართველოში იმპორტი მნიშვნელოვნად ჭარბობს ექსპორტს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე და საშუალო ფირმების შესვლას და მონაწილეობას საზღვარგარეთის (რუსეთის, უკრაინის, თურქეთის და სხვა მეზობელი ქვეყნების) ბაზრებზე. მცირე და საშუალო ბიზნესის და გლობალიზაციის პრობლემათა კომპლექსი დაკავშირებულია ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისა და სწრაფ ზდრასთან. ჩვენის აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის საზღვარგარეთის ბაზრებზე ოპერაციებში ჩართულობა ჩვენი სასიცოცხლო აუცილებლობაა, რომელზეც ერთმნიშვნლოვანი პასუხი ჯერ არ არსებობს, თუმცა მრავალი მკვლევარი აქტიურად იკვლევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებას თუ წარუმატებლობას.

მცირე საწარმოთა ხელმძღვანელობის წინაშე ყოველწლიურად დღის წესრიგში დგება და წამოიჭრება დროის შესაბამისი, ახალი პრობლემები, რომელთა სრულყოფა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობის და მდგრადობის გარანტი გახდება.

ჩვენი ნაშრომი ეთმობა სწორედ ამ საკითხების გადაწყვეტის მცდელობას, კერძოდ: 1. მცირე და საშუალო ბიზნესში ახალი, მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შექმნას და შენარჩუნებას; 2. მომხმარებლის მოთხოვნილებებზე ოპერატიულ რეაგირებას; 3. კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის შექმნას; 4. მოქმედებას, როგორც ეროვნული ბაზრის ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბით; 5. საერთაშორისო ბაზრებზე მცირე საწარმოთა მოქმედების გააქტიურების განხილვას, როგორც გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილის; 6. მცირე და საშუალო საწარმოების მოქნილობას: დამოუკიდებლობის ხარისხის, საკუთრების და ოპერაციების მასშტაბით; 7. მცირე და საშუალო საწარმოთა მოქმედების შესწავლას და გააზრებას გლობალურ ბაზარზე; 8. აქტიურ მონაწილეობას საექსპორტო ოპერაციებში და საერთაშორისო ბაზარზე მუდმივი ადგილის დამკვიდრების და შენარჩუნების გზების ძიებას; 9. ბიზნესში სახელმწიფოსთვის ზომიერი და დემოკრატიული ჩარევის შესწავლა-ანალიზს.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება მცირე და საშუალო ბიზნესის ევოლუციური განვითარება, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ, ძველი სამუშაო ადგილების შენარჩუნებით და ახლის შექმნით. ამასთანავე, აუცილებელია, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა ამ სფეროში, სადაც სამწუხაროდ ადგილი აქვს სტატუსთა სიმწირეს, გაღარიბებას, სოციალურ გარიყვას. რაც გამოიხატება საწარმოებში, არაპროფესიონალების მოზიდვით და შერჩევით, ოჯახის წევრების, ნათესავების, ნაცნობების და მეგობრების დასაქმებით. დღის წესრიგი გვკარნახობს სამუშაო

ადგილების დიდი მოცულობით შექმნას მცირე და საშუალო ბიზნესში, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსის დიდი ნაწილის დასაქმებას და მათ ჩართვას მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებში, რაც გამოიწვევს ქვეყანაში არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებას და კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ორგანიზაციას.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს, მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შექმნა-მიწოდებასა და მომსახურების გაწევაში ოპერატიული რეაგირება. მცირე საწარმო ხომ ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. უცხოელი სწავლულების აზრით, სისტემის სტაბილურობა იმ პირობებში მიიღწევა, როცა ქვეყნის მოსახლეობის 20-30%-ს თავისი საკუთარი საქმე აქვს. მიზანშეწონილია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილად რეაგირებდნენ მოთხოვნილებებზე და უნარი შესწევდეთ მცირე დანახარჯებით მოკლე დროში შეავსონ ბაზარი საჭირო საქონლით და მომსახურებით. მართალია, მათ გაცილებით სუსტი თავდაცვის უნარი გააჩნიათ მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მაგრამ მარცხსაც უფრო ადვილად იტანენ, რადგან მოკლე დროში ახერხებენ ახალი პროდუქციის წარმოებაზე გადასვლასა და ზარალის კომპენსაციას.

წარმოებისა და მომსახურების პროცესი ბიზნესის სფეროში მესაკუთრის, მეწარმის და მენეჯერის ალღოზე და პროფესიონალიზმზე, გულმოდგინებასა და შრომის უნარზეა დამოკიდებული. მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ, შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი, შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ საკუთარი ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე საწარმოებს განსაკუთრებული როლი ეკუთვნით კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისთვის ფართო ასპარეზის შექმნაში. აქ, გაცილებით ადვილია სიახლის გამოცდა, ახალი საქონლის გამოშვებაზე გადასვლა ბაზრის მოთხოვნების კვალდაკვალ, თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რადგანაც ისინი, უპირატესად ადგილობრივი რესურსებით და (ჯერჯერობით) ადგილობრივი ბაზრისთვის საქმიანობენ. სწრაფად ცვალებად ბიზნესგარემოში მცირე და საშუალო საწარმოებზე სერიოზულ გავლენას ახდენენ ტექნოლოგიური ინოვაციები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათთან დაკავშირებული პრობლემები.

ინოვაციისათვის ფართო ასპარეზის შექმნა გულისხმობს მცირე და საშუალო ბიზნესში გლობალიზაციის პროცესის და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ურთიერთმიმართებასა და თანხვედრაში თავსებადობას. მცირე ბიზნესი საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო სამეურნეო სისტემაში, ეროვნული ეკონომიკის ადგილისა და განვითარების განსაზღვრასა და შეფასებაში. საინტერესოა, გლობალური, ტექნოლოგიური სივრცის გავლენის შედეგების შესწავლა-შეფასება, ეროვნული საზღვრების რღვევის მასშტაბები და ეკონომიკურ-ინტეგრაციული კანონზომიერებების შესწავლა.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარდამავალ პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული მეურნეობის ფორმირებასა და ეფექტიანი ფუნქციონირების სოციალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებაში. მცირე ბიზნესი ხომ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში კერძო მეწარმეობის და ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის წარმოშობა, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა. დღევანდელი მდგომარეობით, ყოველწლიურად იქმნება მცირე და საშუალო საწარმოები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი 28% უმოქმედოდ არის. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, ეროვნული ეკონომიკისადმი არაორდინალური მიდგომები და სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება და შესწავლა. სახელმწიფოს უსაფრთხო და სწრაფი განვითარების შიგა და გარე ეკონომიკური ფაქტორების კვლევა და მისი სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციულ- მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება. აუცილებელია შევაფასოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოტენციალი და მასზე გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა. კარგი იქნება, გამოვიკვლიოთ გლობალური ტექნოლოგიური და ეკონომიკური სივრცე. შრომის თანამედროვე საზოგადოებრივ დანაწილებაში უნდა წავრდგეთ, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების სხვადასხვა რგოლები. უნდა შეფასდეს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მონაწილეობის დონე. აუცილებელია განისაზღვროს ინვესტიციების განხორციელების სხვადასხვა ფორმები და, თუ, რომელს მიენიჭოს უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე გასვლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენიტირი: კონცეპტუალური თვალსაზრისი, ჟ. სოციალური ეკონომიკა 4 გვ., 154 2012.

2. აბრალავა ა., ბარათაშვილი ე. და სხვ. ეკონომიკური ბირთვის თეორია, როგორც ზრდის პოლუსების კონცეფციის განვითარება და განზოგადება. ჟ სოციალური ეკონომიკა 3 გვ. 99, 2013.

3. იაშვილი გ., მცირე და საშუალო საწარმოები და გლობალიზაციის პროცესი. საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია", თბილისი, 2009.

4. ლომაია ც., მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2010.

5. Cheill, E. (2001) Entrepreneursship; Globalisation, Innovation and Development, Thomson Learning London.

6. Wilde,C.(1999) E- business work status, information Week, januar 4, 53-54.

PROVIDING INSTITUTIONAL SUPPORT TO SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES (SMES), PROBLEMS AND IMPEDING FACTORS

VALERI KATUKIA
PhD of GTU

The paper covers the role of SMEs in the formation and social and organizational conditions of the preparation for the effective functioning of the national economy. It discusses the creation of high-paying jobs by small and medium-sized businesses to create well-paying jobs as well as implementation of a wide arena for revealing the private initiative and innovative activities, flexibility and independence; the research of the internal and external economic factors for state's safe and rapid development and formation of its social, economic and organizational-methodological principles.